ტელეფონი № 76. შაბათი, 5 ნოემბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით ღირს 15 კ., უცხოეთიდან 10 კ. სხვა ადგილებიდან [illegible] ბულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათს შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., ქნ. მიქელაძის სახლებში.

№ 477 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 477

თფილისში გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ

**პასიკო ონისიმე მემარიაშვილის მეუღლე**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ მეგობართ და ნათესავთ შვილები განსვენებულისა პისიკო ნიკოლაიშვილისა, ნიკოლოზ და ალექსანდრე მემარიაშვილები, რძლები— ელენე და მარო და სიძე—გიგო ნიკოლაიშვილი. მიცვალებულს მოასვენებენ რიონის სადგურზე დღეს, შაბათს 5 ნოემბერს, დილის 6 საათზე და აქედან წაასვენებენ სოფელ ბაში. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს 8 ნოემბერს.

## ავათმყოფთა საყურადღებოთ.

ვისაც თვალები სტკივა, ან თეთრი აქვს გადაკრული, მიმართოს ქ. ქუთაისში, თეთრ ხიდ გაღმა გოშპიტლის კარებთან ჭეიშვილის სახლში, **მიხეილ კაშიას**, რომელმაც მე მომარჩინა **ოპერაციით.**

3—1 პატივისცემით **გრიშა აბულაძე.**

ელექტრო „**რადიუმ**“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 3 ნოემბრიდან 1916 წ. ახალი პროგრამა:

## ალიონი განთავისუფლებისა

ცნობილი დრამა 5 ნაწილად თანამედროვე ომიდან. მოქმედება სწარმოებს მდ. იზონცოს ნაპირებზე. სურათი გადაღებულია იტალიის სამხედრო მინისტრის ნებართვით.

საქვეყნო ცნობები **პ ა ტ ე ჟ უ რ ნ ა ლ ი** საქვეყნო ცნობები.

მ ო წ ა ფ ი ს ო ი ნ ე ბ ი

სახუმარო.

ელექტრო „**ამპირ**“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 3 ნოემბრიდან 1916 წ. ახალი პროგრამა

## ქორის ბუდე

მეორე სერია. დრამა ცხოვრებიდან 5 ნაწილად. პაზუხინის ცნობილ რომანის მიხედვით, ცნობილ მსახიობთა ლისენკოს, კარამანოვისა, რიმსკისა და კანოვას მონაწილეობით.

საქვეყნო ცნობები | პ ა ტ ე ჟ უ რ ნ ა ლ ი | საქვეყნო ცნობები

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

**ექიმი** **ი. ჩარკვიანი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი, იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავადმყოფებს. (სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლვოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

## დავკარგე

სექტემბრის ბოლო რიცხვებში სოხუმსა და ოზურგეთს შუა

**შვადო პასპორტი**

მიცემული ოზურგეთის მაზრის სამმართველოსაგან, Ѳома Глахуновъ онъ же Григорьевъ Челидзе онъ же Мчелидзе. მნახველს ვსთხოვ გამიგზავნოს, ან გამომიგზავნოს, რისთვისაც შესაფერ სასყიდელს მივართმევ. ჩემი მისამართი: Очемчири, Феттеръ Ѳомѣ Мчелидзе. 3—1

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ევროპიდანაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივნდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37

304—1—თვით

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **ბოკერია** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

8-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

## განცხადება.

ქ. ქუთაისში ახლად დაარსებული

**საურთიერთო ნდობის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო საზოგადოების**

## საორგანიზაციო კომიტეტი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებული საზოგადოება დაიწყებს თავის მოქმედებას მომავალი 1917 წლის 1 იანვრიდან;

**წევრების მიღება დაიწყება მდგომარე წლის 7 ნოემბრიდან.**

ვისაც სურს საზოგადოების წევრად ჩაწერა განცხადებით უნდა მიმართოს კომიტეტის წევრს-ხაზინადარს **ა. მ. კრინიცკის ქ. ქუთაისში,** გიმნაზიის ქუჩაზე, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს დარბაზში, და თან შეიტანოს **იმ კრედიტის ათი პროც. რომლის გახსნასაც თხოულობს.**

## სახალხო წარმოდგენა

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 16.

შ ა ბ ა თ ი, 5 ნ ო ე მ ბ ე რ ი 1916 წ.

**ე რ ი ს თ ა ვ ი:**

## სამშობლო

ისტ. დრამა 6 მოქმედებათ.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., მდივანი მ., ჩხეიძე ან. ბ-ნი გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ, მურუსიძე ან., სარელი ვლ., ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ., ჩარკვიანი გრ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი, თანაშ. ა. გუგუშვილი. ადგილების ფასი სახალხოა მორიგე წევრი გამგეობისა ვ. უზნაძე.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**მოქმედების დროს დარბაზში შესვლა არ შეიძლება.**

ქუთაისის ქალაქის თეატრი წარმ. № 15.

კ ვ ი რ ა 6 ნ ო ე მ ბ ე რ ი 1916 წ.

**სბოლჩიკოვ სამარინი:**

## იუდას მემკვიდრე

დრ. 5 მოქმ. თარგმ. კონსტან-ანდრიონისა.

მონაწილენი: ქ-ნი ბეჟანიშვილი ს., მდივანი მ., ლოლობერიძე ო. ბ-ნი გომელაური ზ., იმედაშვილი ალ., კორიშელი პლ., მურუსიძე ან., სარელი ვლ. ყალაბეგიშვილი ალ., ჩხიკვაძე ვ., ჩარკვიანი გრ.

რეჟისორი ალ. იმედაშვილი. თანაშ. ალ. გუგუშვილი ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

მორიგე წევრი გამგეობისა ა. კოსტავა.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგად. გამგეობისა დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

### ქ. ქუთაისი, 5 ოქტომბერი.

**კიდევ შინაურ საქმეებზე**

ჩვენში არსებულ ჯგუფთა და დასთა ურთიერთობა იმდენად გამორკვეული და ჩამოყალიბებულია, რომ ბევრი წერა ამის შესახებ არ გვინდება და არც საჭიროა, რომ ისედაც გამწვავებული ურთიერთობა მათი უარესად არ გავამწვავოთ და ტყუილა დროს დამკარგველი და ხასიათის, გულების, წამხდენი კამათი და პაექრობა არ გამოვიწვიოთ. კმარა, რაც ერთმანეთს ვლანძღავთ და ვაგინებთ, კმარა რაც ერთმანეთს ვაბიაბრუებთ და ჩვენის, ურთიერთისადმი, ხშირად, უდიერად მოპყრობით ვთესთ შურლსა და მტრობას ახალ თაობაშიაც-კი.

ვისთვისაც ბედს ურგუნებია მასწავლებლობა, ან სხვა ისეთი თანამდებობა, რომელიც მას აახლოვებს ჩვენ მოზარდ თაობასთან, იმას კარგად ექნება შენიშნული, თუ როგორი ჯგუფობანა არსებობ მოწაფეთა შორის და რა უკიდურესობამდე მიდის ხოლმე მათი ურთიერთობა.

არც ერთი მათი „პაწია ჯგუფი“ არ სცნობს კარგად არც ცხოვრებაში არსებულ ამა თუ იმ დასის პროგრამას, არ იცნობს აგრეთვე ცხოვრებაში არსებულ დასის მესვეურთა, თუ მომქმედთა პიროვნება-გულისთქმას, მაგრამ ისეთი ორომტრიალია ხოლმე მოწაფეთა ჯგუფებში ამა თუ იმ ცნობილ პიროვნების გარშემო, რომ ადამიანმა ყურებზე ხელი უნდა დაიფაროს...

ქუჩური ლანძღვა, გაბოროტება, ცილის წამება და ყველა ის ხრიკები—რომელსაც ჩვენ, დიდები, ვხმარობთ ხოლმე ერთმანეთის დასამცირებლად, გადადის სკოლაშიც და იმ თავითვე რყვნის და აწვრილმანებს მოზარდ თაობის ხასიათსა და გულისთქმას.

ეს კი დიდად მავნებელია ჩვენივე მომავლისთვის, ვინაიდგან კიდევ კარგა დრო გაივლის, ვიდრე წყალი დაწკნებოდეს და ღირსეულთ ღირსეული გავლენა ჰქონდეთ ჩვენის ცხოვრების გაუმჯობესობაზე...

აზრთა შეთანხმება, მოქმედების გვარიანობა და მომქმედთა ღირსეული დაფასება კი ძალიან სჭირია ჩვენს ისედაც არეულ-დარეულ ყოფნას, რადგანაც ძალა მხოლოდ ერთობაშია და მხოლოდ და მხოლოდ შეერთებული მოქმედება გააუმჯობესებს ჩვენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. უამისოდ ერთი ალთას წავა, მეორე ბალთას და საქვეყნო საქმე კი ისევ ერთ ადგილას ეგდება უძრავად, ვიგინდარაების გასაქელავათა და დასაცინათ.

ეს ისეთი ნათელი ჭეშმარიტებაა, რომ სამწუხაროც კია ამაზე წერა და ლაპარაკი. სჩანს საანბანო ცნებანიც კი ვერ შეგვიგნია!

ღმერთმა დაგვიფაროს იმ უკმეხი და უდიერი ფიქრისგან, ვითომც საჭირო არ იყოს აზრთა სხვადასხვაობა, კამათი და დავა ამა თუ იმ საკითხის შესახებ, საჭირო არ იყოს თვით პარტიობაც, მაგრამ როცა ეს პარტიობა თავის ჯგუფის გასაბატონებლად გამოაქვს კაცს, როცა პარტიის სახელით—იგი აშკარა უსამართლობას სჩადის, და ათასგვარის ცილისწამებით ამცირებს თავის მოპირდაპირეს, იმიტომ რომ მას სახელი გაუტეხოს და გულ უბრყვილო თავისი მიმდევრები მოაღოროს, ეს კი ბოროტებაა, რომელსაც უნდა ვებრძოლოთ მთელის ჩვენის არსებით.

ამიტომ დასაგმობია ის მასწავლებელი, რომელიც „ჯგუფური“ პირველობით ხელმძღვანელობს და მოწაფეთა შორის სთესს შხამსა და გესლს მოპირდაპირე პარტიისადმი.

ასეთი მასწავლებლები კი სამწუხაროდ ბევრნი არიან და დიდი ცოდვაც მიუძღვით მათ ჩვენის საზოგადოებრივ ცხოვრების არევ დარევაში!...

ასეთ მასწავლებელ—მქადაგებელთა ბრალია, რომ ბევრი ღირსეული მუშაკი ამა თუ იმ დასისა უმართებულოდ შელანძღული და შეჩვენებულია! საამისო კი არა გვჭირს რა, თუ ცოტაოდნად მაინც დავუხმობთ ჩვენს გულს და ოდნავადაც არის დავიცავთ სამართლიანობას.

ჩვენ წინ ორი, ერთი მეორისაგან გამომდინარე და უერთი-ერთმანეთოდ ყოვლად შეუძლებელი პრობლემა სდგას. ბედნიერება მთელის კაცობრიობისა და ბედნიერება თითოეულის ერისა, თითოეულის ქვეყნისა და კუთხისა.

ეს არის ის საზღაპრო რომი, რომლისკენაც მიმართულია ყველა გზები. ამის აქით არც ერთის ჯგუფის, არც ერთს პარტიას პიროვნებასს გასაქანი არა აქვს და თვით მათი არსებობაც კი წარმოუდგენელია!

სადავოა მხოლოდ გზები, რომელი გზებითაც უნდა ვემსახუროთ ამ ბედნიერებას. მაგრამ ეს იმას არ უნდა ნიშნავდეს, რომ ერთმანეთს თავპირი დავამტვრიოთ და წმინდათაწმინდა შევუგინოთ, წავუბილწოთ.

ჩვენში კი ეს უკანასკნელი ხდება და პირად გულისთქმით გატაცებულნი, ხშირად ვივიწყებთ ხოლმე უმთავრესს საგანს, უმთავრესს ტეზისს ჩვენის ბრძოლისას და გადავდივართ პირადობაზე, ხელს ვაფათურებთ მის სულსა და გულში, ვუფორიაქებთ ოჯახურ ცხოვრებასაც კი და ვითვლით—რა და რა შეცდომა მოსვლია, როგორც ხორცთა შინა მყოფ ადამიანს! .

იმის მაგივრად რომ მთელის სიგრძე სიგანით წარმოვიდგინოთ და ავწონ-დავწონოთ ამა თუ იმ დასისა თუ ჯგუფის მოღვაწეთა შრომის მოყვარეობა, თავ-გამოდება გულრწფელი და იდეური მუშაობა, იმის მაგივრად რომ ვიანგარიშოთ რამდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის ბეწვით, რამდენის გოჯითა და ნაბიჯით წასწია წინ, ჩვენი საზოგადოებრივი თვით შეგნება ამა თუ იმ მოღვაწემ — ჩვენ მივდივართ მის ოჯახში, მის წმინდათა წმინდაში და ქუჩაში ჭორები გამოგვაქვს..

სწორედ ამისი ბრალია, რომ ყოველივე ჩვენთაგანი კარ ჩაკეტილია, ლოკოკინასავით მობლუნძულა და იმის მაგივრად რომ სიტყვა საქმედ ვაქციოთ ხოლმე, სწორედ ამ საქმეს გავურბით და ცარიელის ლაქლაქით ვკმაყოფილდებით.

რამდენი კაციც საქართველოში სოციალისტობს სიტყვით, იმის მეათედი რომ საქმით იყოს ამსრულებელი თავის მოძღვრებისა, დღეს ბედნიერები ვიქნებოდით და ჩვენი ხალხი, ჩვენი მშრომელი ხალხი ისე დაბრიყვებული და უპატრონო არ იქნებოდა..

რამდენი კაციც ჩვენში ყოყლოჩინობს, რამდენი კაციც ჩვენში ტრაბახობს თავის მამულიშვილობითა თუ სიყვარულით ხალხისადმი, იმისი მეასედიც მართლა რომ იყოს მოყვარული თავის ქვეყნისა, აქამდე არც ერთი ქართველი არ იქნებოდა უანბანო, უმეცარი, უვიცი დაბრიყვებული!...

მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენ სიტყვამ გადაგვიყოლა და პირადმა გულისთქმამ, პირადმა კერძოობამ ჩაგვნთქა!...

ამის მიზეზი ჩვენთვის ცხადზე უცხადესია.—ეს მიზეზი გახლავთ, ის გარემოება, რომ საქართველო და ქართველი ხალხი მოსწყდა თავის მშობლიურ ნიადაგს, მოაკლდა სათანადო, ბუნებრივ განვითარებას ისტორიის შეუბრალებელმა ბორბალმა დიდი აკაკის სიტყვისა არ იყოს ქართველი კაცის „ხორცი იხსნა, სული მოჰკლა, ვაი ვუით გამოცვლა“ და დღევანდელი ქართველი კაცი, რა წრისა და წოდებისაც უნდა იყოს იგი, იძულებულია ითვალთმაქცოს, იორჭოფოს—ტაში დაუკრას იმას, რაცა სძულს და იღრიჭოს იქ, საცა სატირალი აქვს.. ჩვენ—ენაც კი—ეს უაღრესი ნიჭი ბუნებისა ამიტომ გვაქვს მოცემული, რომ სთქვა ის, რასაც არ ჰფიქრობ. უამისოდ ვერც სამსახურს იშოვი, ვერც სახელს, ვერც დიდებას, ვერც იმ მწარე ლუკმა პურს, რომელიც აუცილებელია თუნდა გაძაღლებული ცხოვრების შესარჩენად...

ჩვენ, ჩვენს გაზეთსა და ჩვენს ჯგუფს ხშირად გვისაყვედურებენ ხოლმე ჩამორჩენილი ხართ, სოციალიზმი არა გწამთ, ერთაშორის განხეთქილებას სთესთ და სხვადასხვა, მაგრამ ეს მხოლოდ ყოყლოჩინობაა, ჩვენზე უფრო უქნართა და მართლადაც მარტოოდენ ოცნებითა და ლამაზ-ლამაზის სიტყვებით გატაცებულთა, ვინაიდგან ჩვენი თავი იმდენად სულელი არა გვგონია, რომ არა გწამდეს „სამოთხე და ჯოჯოხეთი“-ც. არ ვიცოდეთ რომ მონობას თავისუფლება სჯობია და ჩიტირეკიაობს ნამდვილი საქმიანობა.

ჩვენ ვამბობთ, ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ყოველივე „იზმების“ განხორციელებას დრო პირობები და გარემოება სჭირია. ამ გარემოებას კი შექმნის მშობლიურ ნიჭთა განვითარება, ეროვნულ და მხოლოდ ეროვნულ სიმდიდრეთა შექმნა...

ჩვენც, როგორც ქართველებს, როგორც ერს—ისტორიულად ნაჭირნახულევსა და ნაწამებ ერს—სიცოცხლე გვწყურია და საბოდიშოც არავისთან არა გვაქვს რა, თუ ანგარიშს მოვსთხოვთ და იმავე საწყაოთი მიუწყავთ, როგორი საწყაოთაც ისინი გვიმასპინძლდებიან.

თავის დაცვის ალღო ჭიასაც კი აქვს და რომელიც ამ ალღოს გაძლიერება—განსპეტაკებას ცოდვათ გვითვლის, ის თვითონ თავის დღეში ვერაფერ დიდ საქმეს ვერ გააკეთებს...

ჩვენ, ქართველ ხალხსა და ქართველ ერს, ჯერ უფლებრივი ანა ბანა გვჭირია და ჩვენ შეძლებისა დაგვარად ვემსახურებით ამ ანბანის პოვნას. ხოლო ვინც „ანი“ სთქვა, მოგეხსენებათ, რომ, „ბანსაც“ იტყვის. დიაღ დღეს ჩვენ არ ვძლევით ოცნებას მთელი ქვეყნის გარდაქმნის შესახებ, ჩვენ გვსურს აღვზარდოთ შეგნებული, ნორმალური ქართველი პიროვნება—კაცი-ადამიანი საქმისა და არა მარტო სიტყვისა.

ეს პატარა საქმეა? თქვენი ნება იყოს. თქვენ გააკეთეთ დიდი საქმე და როცა წინ გადაგვეღობებით, მაშინ გვისაყვედურეთ, მინამდის კი ნება მოგვეცით ჯერ ვემსახუროთ ქართული კერის გაღვივებას და ვებრძოლოთ იმას, ვინც მოინდომებს ამ კერის ჩანელებას.

ეს ბუნებრივი უფლებაა ჩვენი და ვინც ბუნებას ეწინააღმდეგება, ის თვითონ არის მახინჯი!...

მაგრამ დავანებოთ თავი კამათს და ჩვენის აზრისა და მოქმედების დასასაბუთებლად ვიკითხოთ: რამდენად ფხიზლად იქცევიან ის ჩვენი მოწინააღმდეგენი, რომლებიც ციდან ვარსკვლავების ჩამოტანას ლამობენ, იმ დროს, როცა ძირს, ჩვენ დაბრიყვებულ ქვეყანაში, ერთი მყრალი მოხელე თუ მოენება ყველას ციხეში გვიკრავს თავს?

მიუხედავად ქართველების „საერო სოციალისტობისა“ ჩვენისთანა კარ-ჩაკეტილად არავინ ცხოვრობს. ყველას, მქადაგებელსა თუ არამქადაგებელს გამოუხურავს სახლი და არავითარი ურთიერთობა, დამამტკიცებელი მათის „სოციალისტობისა“ ჩვენში არ არსებობს. მღვდელი, თუ ბერი, მასწავლებელი თუ ვექილი, ექიმი, თუ მოხელე, ვაჭარი, თუ ნოქარი, მწერალი თუ მუშა მხოლოდ ერთმანეთს შორიდან უთვალთვალებენ და სულ ამის ცდაში არიან, რომელი უფრო დაასწრებს ფეხის გადადგმას და სარმის გამოკვრას!..

დაიარეთ საქართველოს დაბა-ქალაქები, შემოიარეთ სოფლები, დააკვირდით ჩვენ დაწესებულებებს, შეიხედეთ ჩვენს სასწავლებლებში, ნახეთ ჩვენი ეკლესიები, შეისწავლეთ თვით ჩვენი ოჯახური პსიხოლოგია და თქვენ დამეთანხმებით, რომ გარდა უკიდურესის კერძოობისა და შურ-ჩუმობისა, გარდა მოტყუებისა და ერთმანეთის დაწიხვლისა—ხალხოსნობა-სოციალისტობისა იმდენი არა გვცხია რა!..

გამოდის, რომ ჩვენ ვლაპარაკობთ და ვწერთ მხოლოდ წერა-ლაპარაკისათვის და ვმოქმედებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ თავი გამოვიჩინოთ...

მიზეზი ისევ ის ისტორიული უსამართლობაა, რომელმაც მეცხრამეტე საუკუნის განთიადზე „ქართველის ხორცი იხსნა, სული მოჰკლა, ვაი-ვუით გამოსცვალა!“

ამიტომ ჩვენ უნდა შევატრიალოთ, უნდა დავთრგუნოთ ეს უსამართლობა და აღვადგინოთ ქართველის სული.

ერთი, უაღრესი საშუალებათაგანი ამისათვის არის—შეგნება ურთ-ერთის გაჭირვებისა, დაგმობა მეშჩანური და ეგოისტური გულისთქმისა... საჭიროა ერთობა, ხალხოსნობა, ერთ ანეთის ხელის მიცემა.

იყავით ბატონო დასელი, ან ფედერალისტი, ან ეროვნულ-დემოკრატი ეს თქვენი პირადი დაკვირვების საქმეა, პირადი რწმენის ნაყოფია, მაგრამ ამავე დროს თქვენ რომ უნდა იყოთ ქართველი ადამიანი ამას კი მოითხოვს მთელი ჩვენი ტანჯული ქვეყანა, ვინაიდგან გათიშვა, კასტა, ვიწრო ჯგუფობანა, კარჩაკეტილობა აკნინებს და აძაბუნებს უამისოდაც დაჩაგრულ საქართველოს.

ერის სულის ამმაღლებელი და გამამტკიცებელი სხვათა შორის არის, მწერლობა.

ვინც კი დაჰკვირვებია ქართველი ხალხის უახლესს ლიტერატურას, დაგვეთანხმება, რომ იგიც დაადგა გათიშვისა და ჯგუფობანას გზას. ეს კი დიდი უბედურებაა მთელის ერისათვის.

ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ ქუთაისშიაც დავაარსოთ ისეთივე „ლიტერატორთა საზოგადოება“, როგორიც არსებობს თბილისში, შესაერთებლათა და დასაახლოვებლად ქუთაისის სალიტერატურო ძალებს.

იმედი გვაქვს რომ ქუთათური ქართველობა, განურჩევლად მიმართულებისა, სიამოვნებით შეხვდება ამ ჩვენს განზრახვას და ხელს მოგვიმართავს.

ია ეკალაძე

# მსოფლიო ომი.

**დეპეშები**

პეტ. დეპ. სააგ.

**კავკასიის ასპარეზი.**

გიუმიშხანის ჩრდილო-დასავლეთით, ტორნიკის მხრიდან, მო-ეჯი-სურგოლიკის მიდამოში (ყიგის სამხრეთითაა) სოფ. შარაფხანისა და მუშის მიმართულებით ოსმალების პატარა რაზმებით შემოტევა სროლით მოვიგერიეთ და მტერი უკანვე გავაბრუნეთ.

**რუმინეთი.** ტრანსილვანიაში, ოლტუზის ველის ჩრდილოეთით და სამხრეთით რუმინელებმა მოპირდაპირე უკუაგდეს, ხელთ იგდეს ტყვეები და 3 ტყვიისმფრქვეველი მდ. ტირიულის, ალიუტის და ჟიუს ველ[illegible] ბი გრძელდება ახლად მოსულ [illegible] ნელთა მაშველ ჯარით გაძლიერებულმა მოპირდაპირემ ამ ველებში რუმინელების ჯარს უკან დაახევინა. დობრუჯაში არსებითი არაფერი მომხდარა.

**პარიზი.** დღის ოფიც. ცნობა. სომის სამხრეთით, აბლენკურ-პრესუარის მიდამოებში ორი დღის განმავლობაში წარმოებული ზარბაზნების სროლა უკიდურეს წერტილამდე მივიდა. დღეს დილით გერმანელებმა შემოგვიტიეს აბლენკურის შაქრის ქარხნისა და შენს შუა; იხმარეს მდუღარე სითხე, ქიმიური ყუმბარებიც, რომელიც ცრემლს იწვევს, მაგრამ მაინც ვერას გახდნენ. ამ ადგილის სამხრეთით, პრესუარის აღმოსავლეთით, გერმანელებმა რამდენიმე სახლი აიღეს.

**ლონდონი.** საადმირალო იტყობინება: 30 ღვინობისთვეს საზღვაო საფრენთა ესკადრა თავს დაესხა ოსტენდეს და საზღვაო სახელოსნოებს შენობებს ყუმბარები დაუშინა.

**პეკ ინი.** ჩინეთის დავალებით ინგლისის დესპანმა, რუსეთისა და იაპონიის სახელით, ტიან ცინის ინციდენტის გამო შუაკაცობა იკისრა. მოლაპარაკებამ რამდენიმე დღეს გასტანა, მაგრამ რადგანაც ჩინეთი ვერ დაითანხმეს, შუაკაცობაზე უარი განაცხადა.

**სარფანგეთის საქონელს ბოიკოტი გამოუცხადეს.**

რადგანაც ჩინეთის გაზეთებში ცხარე წერილები იბეჭდება უცხოეთის წარმომადგენელთა წინააღმდეგ, რუსეთის დესპანის თაოსნობით, მეგობარ და მოკავშირე სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ჩინეთის მთავრობას პროტესტი განუცხადეს და მოთხოვეს, რომ ასეთი წერილების ბეჭდვა მოისპოს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

სახალხო განათლების მინისტრმა სამოსწავლო ოლქების მზრუნველთ ცირკულიარი დაუგზავნა. იგი მათ სთხოვს ფრთხილად იყვნენ, რომ ჯარში გაყვანის აცთენისათვის სასწავლებელში არ მიიღონ ის ყმაწვილები, რომელნიც 1898 არიან დაბადებულნი.

---

„რ. ვედ.“ სიტყვით ჩვენი ტყვეები გერმანიაში ფოსტით გაგზავნილ ფულს სრულად არ იღებდენ. ამის შესახებ შეკითხვაზე გარეშე საქმეთა მინისტრმა გერმანიიდან პასუხი მიიღო, რომ ფულის დაკლების მიზეზი ის არის რომ ფული შვეციაზე მოდის. როდესაც რუსის მანეთიანი ჯერ შვეციის კრონზე და შემდეგ მარკაზე დახურდავდება კურსში დიდი განსხვავება ხდებაო. ამისგამო რუსის მთავრობამ გერმანიას შეატყობინა, რომ დღეიდან ჩვენც ასევე მოვექცევით იმ ფულს, რომელიც გერმანიიდან ტყვეების სახელზე იქნება გამოგზავნილიო.

---

ლონდონიდან „რუს. ვედ.“ ატყობი[illegible] მთავრობამ [illegible] და მოკლე ხანში [illegible] ბა მოხდებაო.

---

ამსტერდამიდან იმავე გაზეთს ატყობინებენ, რომ გერმანელებმა ანტვერპენიდან ბელგიელი მუშები სულ წაიყვანეს. ჯერ 21,000 ბელგიელი მუშაა წაყვანილიო.

---

„რუს. სლ.“ სიტყვით, ავსტრო გერმანიის პოლონეთის შესახებ გამოცხადებულ მანიფესტზე რუსეთი ამ მოკლე ხანში პროტესტს განაცხადებსო.

---

სევასტოპოლიდან „ბირჟ. ვედ.“ სწერენ: ნოემბრის 20 ჩვენმა სამხედრო გემებმა ანატოლიის მხარეზე დაჭერილი 22 ოსმალეთის იალქნიანი გემი მოიყვანესო.

---

შავიზღვის ფლოტს კიდევ დიდი სროლა აუტეხია ნავთსადგურ კონსტანცისთვის. ბევრი ნავთისა ან ბენზინის შესანახავი ჭურჭლები აუფეთქებიათ.

---

ოდესიდან „ბირჟ. ვედომ.“ სწერენ, რომ კონსტანცაში ჩვენი ფლოტის სროლამ ქალაქის და ნავთსადგურის დიდი ზარალი მიაყენა დაზარალებულია ჯარის ნაწილი, ალაგ-ალაგ ცეცხლი გაჩნდა და მთელ ქუჩებს მოედო, ცეცხლმა ორი დღე გასტანაო დიდი ზომების მიღება დაჭირდათ გერმანელებს, რომ ცეცხლი ჩაექროთ და აღელვებული მცხოვრები დაემშვიდათო.

## სახელმწიფო სათათბირო

(გაგრძელება)

სათათბიროს მდივანი კითხულობს განსახილველ საქმეებს: მათ შორის არის საბიუჯეტო კომისიის განცხადება, რომელიც ითხოვს დაუყოვნებლივ განხილვას სათათბირომ დაადგინა, ეს განცხადება ეხლავე უნდა განხილულ იქმნეს. რიგს გარეშე განცხადებით გამოდის ბ ნი **გარუსევიჩი** და პოლონელთა კოლოსაგან შემდეგს აცხადებს: გერმანეთ-ავსტრიისაგან გამოცხადებული აქტი, პოლონეთის აღდგენის და გალიციის მოწყობის შესახებ, ახალ საერთაშორისო საკითხებს სვამს გადასაწყვეტათ; ამ სისხლის მღვრელ ომის უმნიშვნელეს დროს, გერმანეთი გაკადნიერდა წინდაწინ გადაეწყვიტა ბედი არა მარტო პოლონეთის, არამედ ევროპის მთელი შუა-აღმოსავლეთის ნაწილის. პატარა ნაწილებისგან, გერმანეთის მიერ, დამოკიდებული გერმანეთ ავსტრიისგან, უსათუოდ გახდება გერმანეთის იმპერიალიზმის იარაღათ. პოლონეთის ერის აგვანს, პრუსიის პოლონურ პროვინციების დაუკითხავად აგერმანელებენ (ხმები: მართალია) ამასთან ერთად გალიცია რჩება გამსბურგთა მონარხის მფლობელობაში და ავტონომიის გაფართოების დაპირებით, სრულებით სცილდება ავსტრიის შინაურ ცხოვრებას, უკანასკნელი კი ისევ გერ-

## სოლომონ დოდაშვილი.

დიდათ საინტერესო არის ვიცოდეთ ის გარემოება, თუ რა შედეგი მოჰყვა სოლ. დოდაშვილის მიერ დაწყებულ საქმეს და მუშაკობას. ამის ახსნას მარტოთ ოფიციალური ცნობები და „კავკასიის აქტები“ არ გვასწავლის. ამის შესახებ ბევრი რამ ცნობები ჩვენში ზეპირათაც არის დარჩენილი; ზოგი ამათგანი ჩვენ 1882 წ. მომსწრე პირთაგან შევკრიბეთ.

მოგვყავს აქ ყველა ის რაც მის თანამედროვე პირთაგან მოგვისმენია.

სოლომონ დოდაშვილი იყო უდიდესი მამულიშვილი, უდიდესი ქართველი მოქალაქე.

მას თავისი სამშობლო საქართველო უყვარდა თავის თავზედ უფრო მეტათ და გატაცებით.

მას დიდათ ენატრებოდა საქართველოს ერის განათლება, ამაღლება და დაწინაურება ისე, როგორც საქართველო ოდესმე ყოფილა კულტურულად დაწინაურებული, თუნდ „ოქროს საუკუნეში“. ამ ნატვრის შესახებ ზეპირ გადმოცემას ცხადათ ასაბუთებს თვით სოლ. დოდაშვილის მიერ დაბეჭდილი წიგნი რუსულს ენაზედ სახელდობრ:—„მოკლე სახელმძღვანელო ლოღიკისა“ მისგან დაწერილი უნივერსიტეტში სწავლის დამთავრების დროს, დისერტაპიათ, რომელი წიგნიც იმავე დროს, პეტროგრადს, ცალკე გამოსცა.

ამ წიგნს მიუძღვის წინასიტყვაობ სოლ. დოდაშვილის, რომელშიაც იგი მიმართავს რუსეთის მონარქს და დიდის თავ-მოწონებით აუწერს ქართველი ერის განვლილ დროს ქართველი ერის დაწინაურებულ ხანას, განათლებას, კულტურას, ფილოსოფიას, მეცნიერებას და სხვა საქმეთა ცოდნას.

აყვედრებს, რომ თქვენს ხელში ამ ერს უნდა დაუბრუნდეს თავისი დიდებული წარსული, თავისი განვითარების სამაგიერო დიდება და თქვენს ხელში უნდა აღორძინდეს ახალი საქართველო მეცნიერულათ, ფილოსოფიურათ და კულტურულთაო. სოლ. დოდაშვილს ამ ქადაგების შესახებ ცილს ვერავინ დაწამებს, მას სიყალბეს ვერავინ ჩამოართმევს, მისი გონება და გული საქართველოს ერის სიყვარულით განსპეტაკებულია, ქართველთა ამაღლებით, დაწინაურებით და სახელოვნებით, ანკარათ ბრწყინვალებს, ამ ბრწყინვალების ცხადი საბუთია შემდეგი:

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ XIX საუკუნის დამდეგიდან, საქართველოდან ყველა ბატონიშვილები რუსეთში იქნენ გადასახლებულნი, მათი რიცხვი მცირე არ იყო. სოლ. დოდაშვილის პეტროგრადში სწავლის დროს, ჯერ კიდევ ბატონიშვილების რიცხვი ერთობ დიდი იყო, სხვათაშორის, ამ დროს, სცხოვრობდა ერთი ბატონიშვილი რომელსაც ჰყავნდა ერთი პატარა ვაჟი, რომელსაც სახელათ დავითი ეწოდებოდა. ამ პატარა დავითს კარგათ იცნობდა სოლ. დოდაშვილი.

სოლ დოდაშვილი ხშირად დადიოდა ბატონიშვილის ოჯახში, ახალგაზრდა ყმაწვილებს აგროვებდა და მათ უქადაგებდა საქართველოს სიყვარულს, ქართველი ერის ამაღლების ძველ კულტურას და ღირსებას. ერთხელ პატარა ბატონიშვილი დავითს ასეთის სიტყვით მიმართავს:

ჯერეთ აღუწერს საქართველოს ერის ისტორიას, ქართველი ერის გონებით ამაღლებას, დაწინაურებას, მეცნიერულათ, ფილოსოფიურათ, ხელოვნურათ და სხვათა. მერე აღწერს არაბთაგან საქართველოს დაპყრობას შემდეგ დროს არაბთაგან განთავისუფლებას. მერეკითხვას აძლევს ასე:

პატარა დავით მერე, იცი ვინ გაანთავისუფლა ჩვენი საყვარელი საქართველო? შენმა თანამოსახელე დავითმა, რომელსაც შემდეგ ქართველებმა დავით აღმაშენებელი უწოდეს.

ის ადრე ჩვენთან იყო, ქართველებთან, ეხლა კი ის ღმერთთან არის,

მაშ იცოცხლე, გაიზარდე და იბედნიერე ღმერთმა გაგზარდოს დავითის მსგავსი კაცი, მოგცეს ისეთი ცოდნა და ძალა, რომ შენ შენის ნიჭით დაიხსნა საქართველო დავითის მსგავსათ, ქართველ ერს დაუბრუნო თავის შესაფერი დიდებული დრო და ხანა, ის ღირსება და სწავლა-ზრდილობა რითაც ჩვენი მამა-პაპები უხვათ იყვნენ დაჯილდოებულნი

რაც ზეპირ შემოტყვია ს. დოდაშვილის მამულიშვილობის შესახებ, ის ცხადია, რომ ამ პატარა სიტყვიდანაც სჩანს. მისი გული რომ საქართველოს სიყვარულით აღვსილი იყო ეს ცხადათ სჩანს თვით სოლ. დოდაშვილის ერთის ლექსიდან, რომელსაც სახელათ „პასუხი“ აწერია და მეორეც სიტყვა არის, რომელიც ასე იწყება, „საქართველო მამულო“ ყველა ამაებით სოლ. დოდოშვილის გულიდან და ბაგიდან იფრქვევა საქართველოს სიყვარულის ქართველი ერის დაწინაურების და ამაღლების ნატვრა. იგი ცდილობს რუსეთში ყოფნის დროს, აგროვებს ბატონიშვილებს ერთათ, უმართავს მათ ლაპარაკს და ავალებს თვალის გახილებას, დაწინაურებას და ცდას მასზედ, რომ ისინი დაბრუნებულ იქმნენ საქართველოში საცხოვრებლათ.

ამის მეცადინეობა არ იზღუდება მარტოთ მამულიშვილობით, იგი პეტროგრადში ხალისით ეწაფება დეკაბრისტებთა ცნობას, იგი ზოგს უნივერსიტეტის მოწაფეთა შორის ჰპოებს მეგობრებს, ზოგი პროფესორთა შორისაც, და ზოგიც უნივერსიტეტის გარეშე სხვადასხვა წრეებში. ესეც პირველი მაგალითია ქართველის კაცისაგან დეკაბრისტებთა გარშემო.

ამავე დროს, იგი არც ევროპიულ ფილოსოფიურ მწერლობას სტოვებს უყურადღებოთ, უნივერსიტეტში საგნათ იღებს და სწავლობს ლოღიკას და ფსიხოლოგიას, რაც იმ დროს კვალათ ითვლება მეტათ რთულ სამეცნიერო საგნათ. ყოველს ცდასა და შრომაში სოლ. დოდაშვილს დიდათ ახალისებს ივანე სელოშვილი, „კალმასობის“ ავტორი. ეს ბერი გულმდუღარეთ შესტირის ს. დოდაშვილს და ავალებს, რომ შენ უნივერსიტეტში სწავლის შესრულების შემდეგ დაბრუნდი შენს სამშობლოში, შენს საქართველოში, იქ შენ უნდა გახსნა ქართული სტამბა, გამოსცე ქართული გაზეთ-ჟურნალი. გახსნათ თფილისში სასწავლებელი სკოლა, ასევე სიღნაღში, ეცადოთ რომ იქით, ინგილოებში ქართული სწავლა შეიტანოთ და ისინი როგორმე თვის ცნობიერებაზედ მოვიდნენ.

ივანე სელოშვილი ამისთვის ს. დოდაშვილს აძლევს 6000 მ. რომ ამით სტამბა გახსნას თფილისში. ს. დოდაშვილი სწავლის ამთავრებს, ნაცნობთა რჩევით, იქვე ცოლად ირთავს რუსის ქალს, ხოლო მალე ბრუნდება საქართველოში, თფილისში სახლდება. აქ ადგენს იმ დროის

...848 წლიდან ... ერებმა ისე... გერმანელთა სურვილი უნდა გადაიტანონ (ხმები: მართალია). იმ სახელმწიფოთა წინ, რომელნიც გერმანიის გეგმონიის წინააღმდეგ იბრძვიან, მძლავრად აღიმართა კითხვა: ცენტრალ იმპერიათა მიერ გარდაწყვეტილი საკითხი პოლონეთისა ეთანხმება სიმართლის, სამართლიანობის და ერთა თავისუფლების პრინციპებად ჩაითვლება თუ არა მტკიცე ზავის ერთ-ერთ მოთხოვნილებად. პოლონეთის ერი არ მიიღებს გერმანიის გარდაწყვეტილებას, რომელიც ეწინააღმდეგება პოლონეთის დიდი ხნის მისწრაფებას (ხმები: ვაშა) საუკუნე ნახევარის განმავლობაში პოლონეთი მხოლოთ იმ შეურყეველი რწმენით სცხოვრობდა, რომ დადგება დრო ისტორიულ სამართლიანობისა, ჟამი თავისუფალ და შეერთებულ პოლონეთის აღდგენისა, ეს რწმენა აძლევდა მას ძალას მხნედ ეთვალიერა განსაცდელში, დაეცვა მთლიანობა სულისა, შეერჩინა და განევითარებინა ეროვნული კულტურა. ნათელი გახდა, რომ ევროპაში მტკიცე ზავი შეუძლებელია, რადგან არ უხსნის საზღვარი გერმანელთა სურვილებს (ხმები მარცხნით: „მართალია“, „მართალია“) ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმ გერმანულ აქტის გამო, რომელიც პოლონეთს ნაწილებათ ჰყოფს და შეერთების ისტორიულ აუცილებლობის წინააღმდეგ მიდის

პოლონეთის სახელმწიფო წარმოუდგენელია თუ იმაში არ შევა კრაკოვი, პოზნანი, სილეზია და არ იქნება პოლონეთის ზღვა (ხმები მარცხნით: „ვაშა“, ტაში).

პოლონელთა ძველი პოლიტიკური აზრი პოლონეთის საკითხი გერმანეთის მიერ ვერ იქნება გარდაწყვეტილი, ჯერ ჯერობით შეურყეველი რჩება. პოლონეთის სამივე ნაწილის წარმომადგენელმა პარიზში და თითქმის სრულად გადმინიანმა პარტიამ ეგვე განაცხადა რომ გერმანელთა სამხედრო პროექტები ფიქრადაც საგნია პოლონეთისთვის, ხოლო ჯარის შედგენა დღევანდელ პირობებში პირდაპირ ეწინააღმდეგება ერის უმრავლესობის სურვილებს (ტაში მარცხნით) არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ გერმანელთა აქტს შეეძლო მოჰყვეს მრავალი გაუგებრობა და დამახინჯება ნეს პოლონელთა ნამდვილი მისწრაფებანი. გერმანელთა ერთად-ერთი მიზანია, უთანხმოება ჩამოაგდოს პოლონეთის, რუსეთის და მოკავშირეთა შორის და დამოუკიდებელ სახელმწიფოს გამოცხადებით — რაიც პოლონეთის ბუნებრივ უფლებას შეადგენს, მოახდინოს პოლონელთა უკანონო გაწვევა ჯარში.

ჩვენ, პოლონეთის ერის წარმომადგენელმა არაერთხელ გავაფრთხილეთ მთავრობა, რომ გერმანეთი დამობს.

მიითვისოს რუსეთისა და სხვა მოკავშირეთა მიერ აღებული ინიციატივა პოლონეთის საკითხის გადაწყვეტისა, მაგრამ მთავრობამ ხმა არ გაიღო და ვერ დაარწმუნა ერი, რომ რუსეთის გარდაწყვეტილება, უმაღლეს მთავარ სარდლის მიერ გამოცხადებული, შეურყეველია და წარსულისაკენ დაბრუნება შეუძლებელია.

მთავრობის დუმილი ამ საკითხში, ჩვენმა მოწინააღმდეგემ გამოიყენა, რათა იხეთი შთაბეჭდილება მოეხდინა, თითქოს მას თვით ...ანდა პოლონეთის ბედის გადაწყვეტა... დასასრულ, ბ-ნი გარუსევიჩი იმედს აცხადებს, რომ ამ ისტორიულ მომენტში, რუსეთი არ დასტოვებს პოლონეთის და უკანასკნელს სრული უფლება აქვს დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენის იმედი ჰქონდეს. პოლონელნი დარწმუნებულნი არიან რომ გერმანეთის ძლიერება დაცემულ იქნება და რუსეთისა და მოკავშირეთა გამარჯვებით პოლონეთსაც მიეცემა საშუალება თავისუფალ ცხოვრებისა.

2 საათ. და 54 წ. კრება ნახევარი საათით შეწყდა. კრება იხსნება 3 საათ. და 20 წ.

პროგრესიულ ნაციონალისტების ცენტრის ჯგუფის, კადეტების და ოქტომბრისტების სახელით გამოდის ბ-ნი **შიდლოვსკი** და აცხადებს: მიუხედავათ მრავალის მსხვერპლისა ომი უნდა გამარჯვებით დავათავოთ, ამაზე ბევრი თათბირი არც არის საჭირო. სამწუხაროდ მთავრობა დაურუვდა და არ ესმის მთელი რუსეთის ნათლად გამოსახული მისწრაფება ერთის წლის წინად ხალხის წარმომადგენლობამ აღნიშნა უძლურობა მთავრობისა, რომელიც ხალხის მასაზე არ ეყრდნობოდა, უხეიროდ ხელმძღვანელობას სურსათ სანოვაგის მიწოდების დროს და აღნიშნა აგრეთვე დანაწილება დაქუცმაცება მთავრობის ძალის მაგრამ სათათბიროს ასეთმა განცხადებამ ნაყოფი არავითარი გამოიღო. ორჯერ შესწყდა სათათბიროს სხდომები და კანონი გაჭიანურდა 87 მუხლის ძალით. მტრული განწყობილება ხალხისადმი ორგანიზაციებისადმი და უნდობლობა პრესისადმი გრძელდებოდა ხალხს არ სწამ ის რომ რაც ხალხისათვის ნათელია, მთავრობისთვის არ იყოს ნათელი კავშირის უქონლობამ ის გამოიწვია, რომ ქვეყნის ძალღონე თანასწორად არ იქმნა განაწილებული. სწორედ ამის გამო და არა სურსათის უქონლობით წარმოიშვა ეკონომიური დაცემა.

შემდეგ ორატორი დასძენს; ჩვენ მოკავშირეებს დიდის ნდობით ვეპყრობით. სამწუხაროდ ვრაცხ აღვნიშნო უხეში უნდობლობა დიდებულ მოკავშირე ინგლისისადმი (ტაში)' ჩვენ არ შეგვიძლიან გვერდი ავუქციოთ პოლონეთის ბედს. ვითათბირეთ რა მათ საკითხის გადაწყვეტის დაგვიანების შესახებ, მივესალმებით პოლონეთის ხალხს, რომელიც მოკავშირეებთან ერთად მოიპოვებს თავისუფლებას. შემდეგ ორატორი განაგრძობს: მთავრობას თანაბარად უნდა ესმოდეს მომენტის მნიშვნელობა და ეყრდნობოდეს სათათბიროს უმრავლესობას. ორატორი შემდეგის სიტყვებით ათავებს: უკანასკნელ სიტყვას ვუძღვნით ჩვენს დიდებულს ლაშქარს, რომელიც რუსეთის სახელმწიფო ინტერესების გულისთვის სისხლს ჰღვრის იმ იმედით, რომ მისი საქმე გამარჯვებით დაგვირგვინდება (ტაში).

**ლაპარაკობს ჩხეიძე** მისი სიტყვა ცენზურის თავმჯდომარემ არ გაუშვა

ლევაშოვი მემარჯვენეების სახელით აცხადებს: ფრაქცია უპირველესად აღნიშნავს სისხლის მღვრელ ომში მოძმეთაგან უმაგალითო გამარჯვებას. მათი გამარჯვება ჩვენს გულს უსაზღვრო სიხარულით აღავსებს. როცა მათი გამარჯვებული წინსვლა შეჩერებულია ღრმად დარწმუნებულნი ვართ ეს შეჩერება ჩხდება არა იმის გამო, რომ მათ ვაჟკაცობა აკლიათ, არამედ განსაკუთრებულ პირობების გამო რაიც მოითხოვს საომარ მასალის მოგროვებას და ადამიანთა ძალას, რათა მუდამ წინ მიდიოდნენ. მემარჯვენეთა ფრაქცია დიდს მადლობას უძღვნის მოკავშირეებს. ომის დაწყებამდე ჩვენ მთავრობას ყურადღებას ვაქცევინებდით გერმანეთიდან გამოსულ ხალხზე, მათ ორგვარ ქვეშევრდომობაზე და გერმანელთა ძალადობაზე. ეხლა ამას ფართო ბრძოლა სჭირდება. აგრეთვე ყურადღება მივაქცევინეთ სიძვირეზედ მაგრამ სათათბირომ ამას ყურადღება არ მიაქცია. მემარჯვენეები აუცილებელ საჭიროებად სთვლიან ამ საკითხთა დაუყონებლივ წამოყენებას. დიდს მწუხარებად გვრჩება გერმანელების მოპყრობა რუსეთის პოლონეთის მიმართ. მისი თავისუფლება აღიარებულია იმ მიზნით რომ გერმანეთმა იქიდან ჯარი შეჰკრიბოს. რუმინეთის გამოსვლა, მემარჯვენეების რწმენით, რუსეთის დიპლომატიის დიდი გამარჯვებაა. დასასრულ, ორატორი უარჰყოფს იმ ბრალდებას, ვითომც მთავრობა ყოველ ღონეს არ ხმარობდა და არ ზრუნავდა სურსათის და საომარ მასალის მისაწვდენად.

ტრიბუნაზე გამოდის **კერენსკი**. მისი სიტყვა ცენზორის თავმჯდომარემ არ გაუშვა.

**ბალაშევი**. რუსთა ნაციონალ ფრაქციის სახელით აცხადებს, რომ მთავარი ყურადღება ჯარის ზურგის გამაგრებას უნდა მიექცეს, ამის გამო შეერთებული მოქმედების გეგმა უნდა აწარმოებდეს მთავრობასთან, იგი უნდა ნდობით მოეპყრას თვითმართველობის ორგანოებს. სასტიკ ბრძოლას უნდა აწარმოებდნენ ცარცვა გლეჯისა და გაჭირდვის წინააღმდეგ დასასრულ, იგიც პოლონეთის ბედის შესახებ დიდ მწუხარებას გამოსთქვამს პოლონეთის საკითხი საბოლოოდ რუსეთის მხედრობის იარაღის საშუალებით უნდა გადასწყდეს.

# ახალი ამბავი.

ვექილმა გრ. ბარათაშვილმა მიიღო პეტროგრადიდან შემდეგი დეპეშა: გთხოვთ მიიღოთ და გადასცეთ ამხანაგებს ჩემი გულწრფელი მადლობა მოლოცვისათვის.

თ-დი კ. აფხაზი.

✦ დღეს ქალაქის თეატრში, ადგ. დრამატიული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება დ. ერისთავის „სამშობლო“.

✦ კვირას, ქალაქის თეატრში დრამ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება „იუდას მემკვიდრე“.

✦ ქალაქის სასურსათო საქმეების მოწესრიგებელმა კომისიამ, 2 ნოემბრის სხდომაზე გაუნაწილა ვაგონები მოვაჭრეებს. ადგილობრივი მიმოსვლისათვის ვაგონები მიეცა შემდეგ პირებს: მარილის მოსატანათ: პლატონ ბოკერიას 2 ვაგონი, ერმილე ხაბურძანიას 2 ვაგ., ხაიმ რიჟინაშვილს 2 ვ., რაფიელ ელუაშვილს 2 ვ., იზრაილ პაპუაშვილს 2 ვ., „მანნი კრუპისათვის“, გოკიელის შვილებს მიეცა 1 ვაგ. შეშისათვის: იოსებ კაკიტელაშვილს 20 ვაგ., იაკობ კაკიტელაშვილს 10 ვაგ. ბრინჯისათვის: ახმედ მოლა რიზა-ოღლის 1 ვ., ვარლამ ჟორჟოლაძეს 1 ვ., ნიკიფორე ჯანელიძეს 1 ვ. თივისათვის: გიორგი ბაზაძეს 10 ვ., პლატონ ბოკერიას 2 ვ., დავით დანელიას 2 ვ., არქიპო ლომიძეს 10 ვ. ბზესათვის: გიორგი ბაზაძეს 5 ვ., პლატონ ბოკერიას 1 ვ, დავით დამენიას 1 ვ. არქიპო ლომიძეს 2 ვაგ. სხვადასხვა საქონლისათვის: პლატონ ბოკერიას 3 ვ., რაფიელ ელუაშვილს 1 ვ., იზრაილ პაპიაშვილს 1 ვ, ვარლამ ჭილიძეს 1 ვ., ნიკიფორე ჯანელიძეს 1 ვ.

✦ პირდაპირი მიმოსვლისათვის, პურის ფქვილისათვის: ნიკიფორე ჯანელიძეს 20 ვ., ძმ. ცაგოლოვებს 20 ვ., ძმ. აბაევს 12 ვ. ქართოფილისთვის: ძმ. ცაგოლოვებს 4 ვ, ძმ. აბაევს 5 ვ. ხახვისათვის: აბრამ პარხალაშვილს 1 ვ., მაქსიმე ბრეგაძეს 1 ვ., გერასიმე ადეიშვილს, 1 ვ., ვარლამ ჟორჟოლაძეს 1 ვ. მაკარონისათვის: დავით ქებაძეს 1 ვ. შუშეულობისათვის: დავით ქებაძეს 1 ვ. თევზისათვის: დანიელ ბარქაიას 1 ვ., საპონისათვის: დავით ქებაძეს 1 ვ., სამარხვო ზეთისათვის: დავით ქებაძეს 1 ვ. ცემენტისათვის: სამსონ ბოკერიას 1 ვ. საწერი ქაღალდისათვის: გოკიელოვს 1 ვ. სხვადასხვა საქონლისათვის: ვარლამ ჭილაძეს 2 ვ.

✦ თბილისის ქალაქის თვითმართველობისაგან, თანახმად თხოვნისა, ქუთაისის ქალაქის თვითმართველობამ უკვე მიიღო ასლი სავალდებულო დადგენილებისა, მოხელეთა ნორმალურ დასვენების შესახებ.

✦ გუშინ სათავად-აზნაურო გიმნაზიის მე 7 კლასის მოწაფენი მასწავლებელ ვეუკოლ პერიძის ხელმძღვანელობით გაემგზავრენ გელათში, არქეოლოგიური ნაშთების დასათვალიერებლად.

✦ სოფ. ჩხიის დავით კლდიაშვილის სახელობის სამკითხველოში, ხუთშაბათს 3 ნოემბერს დანიშნული იყო სამკითხველოს გამგეობის კრება, სხვადასხვა საჭირობოროტო საკითხების გამოსარკვევად, მაგრამ წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა. კარგი იქნება მომავალ კრებაზე მაინც დაესწრებოდნენ საკმაოთ გამგეობის წევრნი და მიიღებდენ ზომებს სამკითხველოს საქმეების მოსაწესრიგებლად.

✦ გუშინ ქალაქში სოფლებიდან აუარებელი სანოვაგე შემოიტანეს ფუთი ფქვილი სიმინდის, იყიდებოდა 2 მ.—დან 3 მ. —დე. სიმინდი 1. მ. დან 1მ. და 80 კ.-დე ყველი ჩირექი 1 მ. და 40 კ.—დან 1 მ. და 60 კ —დე. გოჭი მოზრდილი 5 მ.—დან 7მ დე. ქათამი 1 მ.—60 კ.—დან 2მ. და 40 კ. —დე. ინდოური დედალი 3 მ. და 50 კ.—და 4 მ. და 50 კ.—დე, მამალი 4 მ.—დან 5 მ.—დე. ბატი 2 მ.—დან 3 მ.—დე ბატკანი პატარა 4 მ.—დან 6 მ.—დე, მოზრდილი 8 მ.—დან 10 მ. —დე.

✦ შეშა იყიდებოდა გუშინ ბაზარზე 8 მანეთიდან 17 მანეთამდი ურემი.

✦ სიმინდის ჩალა ასი კონა გუშინ ფასობდა 12 მ.—დან 14 ...

✦ ქალაქის სასანიტარო ... თხოვნით მიმართა მის უსამღვდელოესობას იმერეთის ეპისკოპოსს გიორგის, მოახდინოს განკარგულება რათა მღვდლებმა კვირას 6 ნოემბერს, ქუთაისის ყველა ეკლესიებში, გააცნონ ხალხს სხვადასხვა გადამდებ სნეულებასთან საბრძოლველი ღონისძიებანი.

✦ ამ უკანასკნელ ხანებში ქ. თბილისში ჩამოიყვანეს ომში დაჭრილი და დაავადმყოფებული შემდეგი ქართველი ოფიცრები, რომლებიც მოათავსეს №38 ლაზარეთში: პრაპ. ანდრია ივანეს ძე სინაურიძე და მ. მერკვილაძე.

✦ რომ უზრუნველ ყოფილი იქნან სასოფლო სამეურნეო საზოგადოებები, ბოსტნეულობის თესლისაგან ამის გამო სამიწათმოქმედო დეპარტამენტი აცნობებს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებებს და საერობო აგრონომებს, რომ დეპარტამენტმა უკვე მიიღო ზომები ხსენებული თესლეულობის შესაძენად და საპიროა პროვინციის განყოფილებისაგან მისი საჩქაროთ შეძენა,

## სოფლად და ქალაქად.

დ. ხიდისთავში (გურია) შაქარი და პური სრულიად აღარ იშოვება

— ადგ. მომხმარ. საზოგადოებამ მიიღო კალოშები, რომელსაც ვაჭრებთან შედარებით 1 მ.-50 კ. ნაკლებად ჰყიდის

— სოფელ ქვაუთში (სენ. მაზრა) 24 ოქტომბერს რამოდენიმე შეიარაღებული ავაზაკები სახლში შეუცვივდენ ამავე სოფლის მცხოვრებ გლეხ დათუნია ჭხაბურძანიას, დასჭრეს მარცხენა ხელში, წაართვეს 9 მანეთი და მიიმალენ.

— სოფ. მარტვილში (სენ. მაზრა) 25 ოქტომბერს 5 შეიარაღებული ავაზაკები თავს დაესხენ ანდრია პაშტიანს წაართვეს 100 მან. და მიიმალენ.

სოფ. ქვაუთში (სენ. მაზრა) 23 ოქტომბერს ბოროტ-გამზრახველებმა მ. აბშილავას დაუწვეს სამზადი სახლი ყოველ გვარი საოჯახო ნივთებითურთ ზარალი 753 მანეთია.

— ხოფ. ჩოიბერში (ლეჩხუმის მაზრა) 28 ოქტომბერს ამ სოფელში მცხოვრებ გლეხს. მახ ვიბლიანს ესტუმრენ შ. გასვიანი და შ. ნარსავიძე, დათვრენ და ასტეხეს ჩხუბი სადაც ნარსავიძემ ბერდანის თოფით მოჰკლა შ. გასვიანი და უგზოუკვლოთ მიიმალა.

— 30 ოქტომბერს, 7 შეიარაღებული ავაზაკები დახვდენ სამტრედიიდან-ხონისაკენ მიმავალ დილიჟანს და აუტეხეს სროლა, მოჰკლეს ერთი ცხენი, დასჭრეს ორი მგზავრი, ვარლამ პიოლია და პეტრე გაჩეჩილაძე. შემდეგ შეცვივდენ დილიჟანში, გაძარცვეს მგზავრები რომლებსაც წაართვეს 200 მანეთზე მეტი და გაუდგენ გზას.

— დ. სამტრედიაში 24 ოქტომბერს, რომოდენიმე შეიარაღებული ავაზაკები სახლში შეუცვივდენ ნიკო ქუთათელაძეს, წაართვეს მას 900 მან. ფულად, ხოლო 200 მ. ნივთები და მიიმალენ.

— სოფ. გვაშტიბში (ქუთ. მ.) 11 ოქტომბერს ქურდებმა ფეოდოსია იოსელიანს მოპარეს 2 სული ძროხა და მიიმალენ.

— სოფ. ქვაუთში (სენ. მაზრა) 27 ოქტომბერს სამი შეიარაღებული ავაზაკები სახლში შეუცვივდენ ამავე სოფელში მცხოვრებ გლეხს დავით სიგუას დასჭრეს ის თავში, წაართვეს 5 მ. და წინადადება მისცეს დაუყონებლივ დაახვედროს მათ 200 მ. რის შემდეგ გაუდგენ გზას.

## პატარა წერილი.

შეგნებული ქართველობა საფუძვლიანად სწუხს, რომ ჩვენ, ქართველებს, ეროვნული სახელების დარქმევის ნებას აღარ გვაძლევენ, მაგრამ ქართველებისათვის ამაზედ უფრო სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ კერძო პირების სახელის წართმევასთან ჩვენ საყვარელ სამშობლოსაც წაართვეს საკუთარი ისტორიული სახელი და თავისებურათ მონათლეს. ყველამ ვიცით რომ იმ ქვეყანას, სადაც დღეს ქართველობა ბინადრობს საქართველო ერქვა, ამ სახელწოდებით შეუერთდა იგი რუსეთის იმპერიას, რასაც ალექსანდრე პირველის მანიფესტიც ნათლად მოწმობს. არ გაუვლია დიდ ხანს ამ საბედისწერო აქტის შემდეგ, საქარ-

ქართველებში სხვადასხვა საამხანაგო წრეებს იწყებს ქადაგებას და ცდას იმის შესახებ რომ ქართველი ერი როგორმე გამოაფხიზლოს და მამულისშვილობით ალაფრთოვანოს

ამის ქადაგებას ს. დოდაშვილი მედგრათ მისდევს მით უფრო, რადგან იმ დროის ქართველები არიან დაშინებულნი და გათახსირებულნი. ისინი მისდევენ მარტო ქეიფს, სმას, ჭამას, კრივს, თამაშს მამულების გაფლანგვას, გლეხების შეწუხებას და კერძოთ თავისი ოჯახის დალუპვას და საერთოთ საქართველოს ვნებას, აი რას ახერხებს ამ დროს ს. დოდაშვილი.

**1828** წ. ხსნის სტამბას და იწყებს ქართული წიგნების გამოცემას.

**1829** წ. იწყებს კვირის ქართული გაზეთის „თფილისის უწყების“ გამოცემას.

**1832** წ. იწყებს ორ კვირეული ქართული ჟურნალის გამოცემას.

ბეჭდავს სხვადასხვა ქართულ წიგნებს და საჭირო ფურცლებს.

ს. დოდაშვილი დიდს ზეგავლენას ახდენს იმ დროის ქართველს მოწაფეებზე, მის წრეებში დაიარებიან ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფიანი, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი, დიმიტრი ორბელიანი და ბევრიც სხვანი, მათ უნერგეს ყველას მამულისშვილობის და საქართველოს აღორძინების სიყვარული, მათ ყოველ კრებაზე ს. დოდოშვილი ლაპარაკობს მარტოთ საქართველოს შესახებ, ქართველების დაწინაურებასა და ამაღლებაზედ.

ნელ-ნელა ქართველებში იწყება მამულისშვილობის აღორძინების დასაწყისი და ქართული მწერლობის და ისტორიის სიყვარული. ამ დროს გაჩნდებიან ისეთი პირნიც, რომელნიც საქართველოს შესახებ იწყებენ წერას და ლექსებით გოდებასაც. ასეთ ჯგუფს ეკუთვნის ნ. ბარათაშვილი და ორიც სხვანი ასეთნი.

**1832** წ. ასე ძნელათ მიდიოდა ქართველთა სიცოცხლის დღენი და აღარსად მთელს საქართველოში აღარაფერი ისმოდა. ამის გამო ბევრი ქართველი იყო გულდათუთქული და დაღონებული. საქმე ისე მოეწყო და ქართველნი ისე მოშორდნენ ველობას, რომ თითქმის ჰკვდრის ზეწარი გადაეფარა მთელ საქართველოს.

**1846** წ. საქართველოს მთავარ მართველათ დაინიშნა თავ. ვორონცოვი. ამის მოსვლის შემდეგ ქართველებმა დაიწყეს ცდა თხოვნა, და როგორც იქმნა 1851 წ. ბოლოს მიიღეს ნებართვა, რომ ტფილისში გამოცემა დაეწყოთ ქართულს ენაზედ თვიურ ჟურნალ „ცისკარში“ ამ ნებართვის შესახებ დიდი შრომა მიუძღვის თურმე დიმ. ყიფიანს, პოეტს გრიგ. ორბელიანს და სხვათაც, ასე მიამბო პოეტმა ვახტანგ ორბელიანმა. სთქვა პოეტმა, რომ ამ პირებმა დაარწმუნეს ვორონცოვი, რომ ქართული ჟურნალის გამოცემის არაფერი საშიშია და მხოლოდ ამ დარწმუნების შემდეგ გველირსა ნებართვის აღება, რომ ქართველ ენაზედ „ცისკარი“ გამოგვეცაო.

ასეთი შედეგი მოჰყვა 1832 წ. „ფარული საზოგადოების“ არსებობის საქმეს.

ზ. ჭ.

თველოს ნამდვილი სახელის ხსენება გაქრა და მას საერთო სახელი „კავკასიის“ ქვეშ ამთავლოვეს თავი და უწოდეს „ამიერ კავკასია“ ამას წინეთ ბ. ვეშაპელი გაზეთ „საქართველოში“ ამტკიცებდა რომ ერთ დროს საქართველო რუსეთის იმპერატორების მანიფესტებში ფინლიანდიასა და პოლონეთზე წინ იხსენიებოდა, და ეხლა ამ ქვეყნებზე წინ კი არა სრულიადაც აღარ იხსენიებენ მას. რატომ, რა დააშავა საქართველომ, რომ მისი სახელის აღგვა უნდათ პირისგან ქვეყნისა? იქნებ ხომ დრო რომ საქართველო ჭირდებოდათ ძლიერთა ამა ქვეყნისათა? ნუ თუ დახმარება—პატივის ცემისათვის ამის ღირსია საქართველო? ძიძას, როდესაც უნდა, რომ დედა დაავიწყებინოს ბავშს, პირველად ყოველთვის მისი სახელის დავიწყებას შეეცდება, სწორედ ასე გვიშვებიან ჩვენც მაგრამ, ჩვენი დედა საქართველო, იმდენათ საყვარელია ჩვენთვის რომ ძნელი იქნება მისი დავიწყება.

მართალია ქართველი ერის ერთი ნაწილი ვითომც არაფრად აგდებს საქართველოს სახელის მიფუჩეჩებას, მაგრამ არ ვფიქრობთ რომ გულწრფელი იყოს ასეთი მათი გულგრილობა ყოველ შემთხვევაში დიდათ სასურველია გამოირკვეს ჩვენს სამშობლოს რატომ იმ სახელით აღარ იხსენებენ. რომელი სახელითაც იგი დიდ რუსეთს შეუერთდა.

მ. ბუაჩიძე.

## სამხედრო სამრეწველოები და მოიჯარადრეთა თავგასულობა.

დღევანდელმა საერთაშორისო ომმა აუცილებელ საჭიროებათ გახადა სამხედრო სამრეწველოების დაარსება, სადაც ომისათვის გამოსადეგ საგნებს ამზადებენ. ასეთი სამრეწველოების დაარსება ყველა მებრძოლ სახელმწიფოს შორის უფრო საჭირო რუსეთის სახელმწიფოში შეიქნა, რადგანაც ომის წარმოებისათვის საჭირო საგნების მიწვდაში, ყველაზე უფრო მოუმზადებელი ეს უკანასკნელი აღმოჩნდა

დიდძალი ფული გაიღო სახელმწიფომ ამ სამრეწველოების დასაარსებლად და საწარმოებლად. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის განხილვას, თუ როგორი ეკონომიით იხარჯება გადადებული ფული, ვიტყვით მხოლოდ, რომ იმ სახელმწიფოში, სადაც ყველაფერი ქრთამებზეა დამყარებული და სრული უკანტროლობა სუფევს, გადადებული ფულის დახარჯვაც არ იქნება წესიერად, რაც, რასაკვირველია, თავის დროს გამოაშკარავდება. ამ წერილით ჩვენ გვინდა საზოგადოების ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ ერთ მხარეს—მოიჯარადრეთა თავგასულობას და იმ უზომო ექსპლოატაციას, რომელსაც ზოგიერთი მოიჯარადრე (უმრავლესობა, რასაკვირველია) ცოცხალ ძალებზე ეწევა.

როგორც მკითხველებს მოეხსენება, სამხედრო სამრეწველოებში მომუშავე პირები (პირველი და მეორე ხარისხის მოლაშქრენი) ომში გაწვევისაგან თავისუფლდებიან. ამ გარემოებით სარგებლობენ მოიჯარადრეები და მუშებს მთავრობისაგან გადაწყვეტილ ფასს კი არ აძლევენ, არამედ მის ნახევარ უმრავლესობას უფულოდაც კი ამუშავებენ. მაგალითად თითო შპალის დამზადებაში გადაწყვეტილია მიეცეს მუშას შვიდი შაური—ეძლევა ერთი აბაზი, ან სამი შაური. ამასთანავე მოიჯარადრეებმა კარგათ იციან, რომ სამხედრო სამრეწველოები ახლად ჯარში გასაწვევ პირს ვერ ანთავისუფლებს სამხედრო ბეგარისაგან, მაგრამ მაინც იწვევს სამუშაოდ და ამუშავებს თვეობით უფულოდ; საწყალი მუშა დაიმედებულია, რომ იგი სამხედრო ბეგარისაგან განთავისუფლებული იქნება მოიჯარადრის ყმად და მონად ხდება და თითქმის თავისი ხარჯით მუშაობს, ხოლო მისი სამუშაო ხელფასი მოიჯარადრის ჯიბეში ჩადის. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ მოიჯარადრეებათ ხდებიან ისეთი გამოქნილნი პირები, რომელნიც არაფერ სიყალბის ჩადენას არ ერიდებიან, თავის ჯიბის გულისათვის, ადვილად წარმოვიდგენთ იმ ბოროტმოქმედებას, რასაც ეს პირები მუშების მიღების დროს მოიმოქმედებენ. სინიდისსა და პატიოსნებაზე ლაპარაკი მათთან არ შეიძლება. მაგალითისათვის ჩვენ აქ მოვიყვანთ ერთ ფაქტს: სამხედრო სამრეწველო კომიტეტისათვის საჭირო შეიქნა მუხის ქერქისა და თრიმლის დამზადება მოგროვება. ამის შესახებ თავის დროზე იყო გამოცხადებული გაზეთებში და, მართლაც სადაც კი ეს ნედლი მასალა მოიძებნებოდა დაამზადეს გლეხებმა. ფუთ თრიმლზე სამრეწველო კომიტეტისაგან გადაწყვეტილი იყო სამი მანეთი, მაგრამ ვიკითხოთ: მიიღეს გლეხებმა გადაწყვეტილი ფასი? არა რასაკვირველია, ეს გამოცდილი მოიჯარადრის ხრიკების წყალობით. რამდენსამე ათეულ ვერსზე ჩამოტანილი თრიმლის საწყალი გლეხი დაწუნების შიშით იმ ფასში სტოვებდა, რა ფასიც მოიჯარადრისთვის იყო ხელსაყრელი. ერთ პირს ბ. გ-ძეს 900 ფუთამდე მშვენიერი დამზადებული თრიმლი დაუწუნეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისგან „ხელის ჰუჰყს“ ვერ მიიღებენ

ვაფრთხილებთ იმ მუშებს, რომელნიც კი სამხედრო სამრეწველოებში მოისურვებენ ჩაწერვასა და მუშაობას, მოითხოვონ მთავრობისაგან გადაწყვეტილი ხელფასი და მოიჯარადრეების საწველ ფურად ნუ ხდებიან. ამასთანავე სრული იმედი გვაქვს, რომ ის პირნი, რომელთაც მინდობილი აქვთ სამხედრო სამრეწველოების თვალყურის დევნება, სათანადო ყურადღებას მიაქცევენ მოიჯარადრეთა თავგასულობას, მათ მოქმედებას მტკიცე კანტროლს გაუწევენ, და მომუშავეთა მდგომარეობას ნორმალურ კალაპოტში ჩააყენებენ.

დასასრულ მოიჯარადრეებმა კარგად შეიგნონ, რომ არაფერია დამალული და ერთხელაც იქნება მათ მოქმედებას საზოგადოება ანგარიშს გაუწევს და საბრალმდებლო სკამზე დასმენ.

გარეშე.

## რუსეთი.

„რუს. ვედ.“ სანდო პირთაგან შეუტყვია, რომ ფინანსთა მინისტრს ამ დღეებში ნებას დართავენ, რომ საზღვარ გარეთ იმგვარი ფინანსიური ოპერაცია მოხდინოს, რომელიც სახლმწიფოს დიდ საშვალებას მისცემსო.

— —

შინაგან სამინისტროს გუბერნატორებისათვის დეპეში დაუგზავნი. სამინისტრო თხოვს მათ აცნობოს, თუ რა საშვალებაა აქვთ მიღებული სესხის გაყიდვის ფართოდ ხალხში გავრცელებისათვის მინისტრის სურვილია რომ სესხი სოფლის მცხოვრებთა შორის იქნას გავრცელებული.

— —

გამოქვეყნებულია განკარგულება, რომ გზათა სამინისტროში შესდეს კომისია, რომელიც გაარჩევს ახალ რკინის გზების გაყვანის საქმეს და მათ მიმართებულებას.

— —

ყაზანში ოთხი კოპერატიული ვაჭრობა მხანაგობაში შეთანხმებულან. ოთხივე კოოპერატივი ერთად გამოიწერს საქონელს და იგი ბევრად უფრო იაფად დაჯდებაო.

— —

„რუს. ვედ.“ სწერენ ხარბინიდან, რომ რუსის ჯარი, რომელიც შევჩენკოს ხუტყის კონცესიის დასაცავად ხუნხუზთა წინაამდეგ იყო გაგზავნილიი, ჩინეთის ჯარს შეუმჩნევია და სროლა აუტეხიათ.

— —

„რუს. ვედ“ სიტყვით სახალხო განათლების სამინისტროს ფული გადადო, რომ გალიციაში, ბუკოვინაში და სხვა დაკავებულ ადგილებში საკუთარი ექსპედიცია გაიგზანოს. ექსპედიცია ასწერს ძველ ნაშთებს და ზომას მიიღებს, რომ ყოველი ხელოვნური ნამოქმედარი მთლად იყოს დაცული.

— —

იგივე გაზეთი გადმოგვცემს რომ პეტროგრადში, რასტანის ქუჩაზე, მწიფობისთვის 29 სამხედრო მასალის დასმზადებლი ქარხანა აფეთქებულა. მსხვერპლი ოც კაცამდეა. აფეთქების მიზეზი გამოკვლეული არაა, აფეთქება მოხდა იმ განყოფილებაში, სადაც შუშხუნას აკეთებენ. ქარხანაში ასი კაცი მუშაობდაო.

— —

ყაზანში, ქ-ნ ვალიევის შემწეობით მუსულმან ქალთა გიმნაზია დაარსებულა. საზოგადოებას დიდი ხანია უნდოდა ამ გიმნაზიის გახსნა, მაგრამ სხვა და სხვა, დაბრკოლება ელობებოდა

— —

ადესიდან ამბავი მოვიდა, რომ რადგან ჩრდილოეთ დობრუჯიდან მშვრდობის ხმა მოისმა, გამოქცეულებმა თავის ქვეყანაში დაბრუნდება დაიწყესო.

— —

იქიდანვე გვატყობინებენ, რომ იქ სტუდენტ-მუშების ორგანიზაცია შემდგარა, ისინი ნავთსადგურში მუშაობენ, გემებზე საქონელი გადააქვთ გადმოაქვთ და ყოველ ამგვარ სამუშაოს კისრულობენ.

## უცხოეთი.

როგორც ვიცით ამერიკის ჩრდილოეთ შეერთებულ შტატების პრეზიდენტათ არჩეულ იქმნა რესპუბლიკანელი კანდიდატი იუზა. დემოკრატიული პარტია-ვილსონის მხარე დამარცხდა. ამის მიზეზი ბევრი იმგვარი მოვლენა იყო, რომელთაც მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა აქვს. საზოგადო ინტერესს მოკლებულია.

ჩვენთვის საყურადღებოა თუ იუზას ამორჩევას რა შედეგი ექნება ევროპისთვის; შესცვლის თუ არა სახელმწიფო პოლიტიკას. ამ დაკითხვას შემდეგი მოსაზრებით ვუპასუხებთ: როდესაც იუზა შტატებში მოგზაურობდა და სიტყვას ამბობდა, იგი ვილსონის პოლიტიკას არ ეთანხმებოდა მექსიკის საქმეში; ევროპის აწეწილ საქმეთა წინაშე იუზა ყოველთვის სდუმდა, მის წინ სიჩუმით გაივლიდა. აქედან სჩანს, რომ იგი ვილსონის პოლიტიკას არ ჰგმობდა.

ამ გვარი აზრი იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ ამერიკის საგარეო საქმე კვლავ შეუცვლელი დარჩება. უკიდურეს შემთხვევაში შესაძლებელია იუზა გერმანიას კიდევ უფრო ლმობიერად მოექცეს შეიძლება ექვმა სიმართლესგან დაგვაშოროს, მაგრამ ვიცით, რომ არჩევნებამდი იუზას ძრიელ ფრთხილი დიპლომატიური პოზიცია ეჭირა და არა ერთხელ აქვს ნათქვამი, რომ საგარეო პოლიტიკაში მე მსურს თავის-უფლება შევინარჩუნოო.

**გვირაბი ლამანშის ქვეშ**

ლამანშის ქვეშ გვირაბის შესახებ დიდი ხანია ლაპარაკობენ. პრესაში ბევრჯერ იყო ეს საკითხი აღძრული. საფრანგეთი, რომ მოიწადინებდა ტონელის გაყვანას, ინგლისი არ დაეთანხმებოდა; ეგონა რომ გვირაბის საშვალებით საფრანგეთი მას მეტოქობას გაუწევდა საზღვაო ვაჭრობაში. დღეს ორივე მხარე დარწმუნდა, რომ ეს დიდ შეცთომაა და ნანობენ კიდეც რომ აქამდე ლამანშის ქვეშ გვირაბი არ გაიყვანეს.

ძველათ ნათქვამია: საფრანგეთს და ინგლისს ერთმანეთისაგან ზღვის მკლავი და იდეათა ოკეანე აშორებსო. დღეს კი სწორედ ეს მკლავია გაწოდებული, რომ ეს ორი დიდებული ნაცია შეაერთოს.

22 წარსულ ივნისს დეპუტატმა ფელმა ინგლისის ქვედა პალატაში დასაბუთებული წინადადება წარადგინა. მასში ფელი ყოველი მხრით აშუქებს გვირაბის გაყვანის საკითხს, გათვალწინებული აქვს მისი მომავალი სარგებლობა; მატერიალურათაც უმჯობეს, მერმის მოელის.

გვირაბის გაყვანა პირველში, ტეხნიკური მხრით საფრანგეთმა დაამუშავა. შედგენილი პროექტი ლორდ რობერტსისაგან და ლორდ კიტჩენერისაგან იქმნა მოწონებული. დღეს იგივე პროექტი ქვედა პალატის 140 კაცისაგან შემდგარმა კამისიამ განიხილა, სცნო სარგებლობა და იგი საჩქარო საქმეთ აღარა.

პარიზიდან ლონდონში მგზავრობას გვირაბი ძრიელ გაადვილებს. აქეთ და იქით გზას ხუთ საათზე ნაკლები დასჭირდება. შესაძლებელი გახდება: კაცი პარიზიდან დილას ლონდონში საქმეზე წავიდეს და საღამოზე სახლშივე დაბრუნდეს.

გვირაბის გაყვანა მეტად გაადიდებს ისედაც დიდ ქალაქებს; მცხვრებლებს ბევრად მოუმატებს; ვაჭრობას და ალებ მიცემობას გააძლიერებს. თუ დღეს პარიზსა და ლონდონს შუა ვაჭრობა ას მილიონამდე ადის, გვირაბის მეოხებით იგი ერთი ორათ და სამათ აიწევს.

ტეხნიკური სიძნელე გადალახულად არის ცნობილი. თუმც ლამანშის სიგანე ალაგ-ალაგას 40 კილომეტრს უდრის და წყლის ქვეშ უსწორ-მასწორო ნიადაგი აქვს, მაგრამ ყველა შემთხვევები გათვალწინებულია და გვირაბის გაყვანა შეუძლებელს არ წარმოადგენს. პროექტის შესრულებას მუშაობის მრით ხუთი წელიწადი დასჭირდება; დაჯდება სამასი მილიონი ფრანკი. თუ მოსალოდნელ სარგებლობას სახეში მივიღებთ, არც ერთ მხარეს ძვირად არ დაუჯდება. ძვირფას საქონლის გადაზიდვის გარდა, გვირაბს შეუძლია მილიონი სულის გადიყვან-გადმოიყვანოს.

## რკინის გზის მიმ...

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის | — 7 ს. 25 წ. | |
| „ | — საღამ. | — 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დილით | —12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის | — 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | — დილის | —10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს | — 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | — დილის | — 9 ს 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | —დილის | —11 ს. — | „ |
| „ | — ღამის | —12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | — 7 ს. 3 | „ |
| „ | — დილის | — 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | — დილით | — 4 ს | „ |
| ტყიბულისკენ | — დილის | — 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | —დღით | — 5 ს. 18 | „ |


სტუდენტი ა... ...ლა სასწავლებლისათვის ხელმისაწდომ ფასებში.
მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ.

დოქტორი მედიცინისა
**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**
ღებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე.
გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.
10—4 დღ. გამ.

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. ჰილაძის. შესავალი გაზ „მეგობრის“ რედაქციის ბინიდან.

**ავი სენი.**

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.
სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.
**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულად წამლობის დროს.
**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.
**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გემსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.
**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიდ სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხერხემლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. სიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაკტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.
ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.
**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**
9—(წლიური)

**სუსუნატი**
(გონორეი).
№ 765

თუ თქვენ იტანჯებით სუსუნატით, იმედს ნუ დაკარგავთ!
არის საშუალება **აკოპიანცის კაპსული „ა“**
რომლითაც ყველას შეუძლია განიკურნოს, სრულიად ცოტა ხნის განმავლობაში. მოწონებულია ბ.ბ. ექიმებისა და სპეციალისტებისაგან, როგორც ახალი რადიკალური და გაუმჯობესებული საშუალება მაგარ და ქრონიკულ სუსუნატის წინააღმდეგ და აგრეთვე ამ სენისაგან გამოწვეულ ყოველ გვარ შედეგების წინააღმდეგ, როგორც არის: შარდის მილის და ბუშტის ანთება, შარდის შეკავება, კვერცხების ანთება, ფეხების, ხელების, ზურგის ხერხემლის ტკივილები და ტეხა. აკოფიანცის **კაპსული „ა“** ნება დართულია პეტროგრადის სამედიცინო საბჭოსაგან № 765-თ. კაპსული „ა“ ცნობილია, როგორც უვნებელი ადამიანის ორგანიზმისათვის და იხმარება როგორც **მამაკაცების** ისე **დედაკაცების** სამკურნალოთ.

აკოპიანცის კაპსული „ა“.

კაპსული „ა“-ს ხმარების დროს არ არის საჭირო არავითარი შეშხაპუნება, დაწვა, გამორეცხვა და მილას გაფართოება, აგრეთვე არც კერძო დახმარებაა საჭირო, მხოლოდ საჭიროა კაპსულების ყლაპვა, ასე, რომ ყველას შეუძლია იექიმოს ყოველგვარ პირობებში და მუშაობის დროსაც. აქიმობის დროს არ არის საჭირო რომელიმე საჭმელის დათმობა, მხოლოდ თავი შეიკავეთ მაგარი სასმელებისა და ყოველგვარი ეროტიზმისაგან.
**ჩვენი გარანტია** ტყუილა ნუ ხარჯავთ ფულს, ვინაიდგან თქვენ რამოდენიმე კოლოფის მიღების შემდეგ შეგიძლიათ მორჩეთ. გთხოვთ არ აურიოთ სხვა წამლებში. ყიდვა შეიძლება ყოველ დროს. აფთიაქებსა და აფთიაქის საწყობებს ეძლევათ საგრძნობი „სკიდკა“.

**წინასწარ 3 მანეთის მიღებისთანავე** გამოგეგზავნებათ ფასდადებულ ამანათით. წამლობის სრული კურსი 5—8 კოლოფამდე.

**ფასი:** 1 კოლ. (60 კაპ.) 3 მან. 50 კ. ნახევარი კოლ. (30 კაპ.) 2 მ. 25 კ. ერთი კოლოფის გადაგზავნა 40 კ. ვინც 4 კოლოფზე მეტს გამოიწერს გადაგზავნის ფასი არ გადახდება.

დაკვეთა და წერილების გაგზავნა შეიძლება კავკასიაში მხოლოდ ერთ წარმომადგენელთან **ე. მ. აკოფოვთან**, თბილისი, კრასნოგორის ქუჩა № 3, განყოფილება ბ ქოშ... ადგილობრივ ავადმყოფთათვის—კრასნოგორსკის ქუჩა № 52 არ. ავ. მაზიან. ქალაქ გარე... ე დამკვეთლებს ვთხოვთ მიმართოს უმთავრეს საწყობში: ტფილისი, კრასნოგორის ქუჩა, № 3 ე. მ. **აკოფოვს**.


მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ალ. კოხრეიძისა.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან.